

მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება მშობელთა  
ჩართულობის გზით

ხატია დევსურაშვილი

თამთა ცარციძე

ნინო ქიმაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა  
და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

*განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია ანდლულაძე, ასისტენტ პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია თბილისის #136 საჯარო სკოლის 6/2 და 6/3 კლასებში მშობელთა ნაკლები ჩართულობისა და ამით განპირობებული დაბალი აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების საკითხი. საუბარია, სასკოლო ცხოვრებაში, მშობელთა მონაწილეობის მნიშვნელობაზე სასწავლო შედეგების ამაღლების მიმართულებით. ასევე, ყურადღება გამახვილებულია, საკვლევ საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ ინფორმაციაზე, პრობლემის გამომწვევ მიზეზებსა და მისი გადაჭრის შესაძლებლობებზე.

მშობელთა ჩართულობის გზით აკადემიური მოსწრების ამაღლება, გლობალური საკითხია და მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მთელი განათლების სისტემისთვის. პრობლემის იდენტიფიცირების პროცესში, სწორედ ეს საკითხი აღმოჩნდა ყველაზე აქტუალური სამიზნე სკოლის შემთვევაშიც. ამიტომ კომისიის წევრებთან ერთად შემუშავდა გეგმა, რომლის მიზანიც იყო მშობელთა სასწავლო პროცესში ჩართულობის გაზრდა და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამაღლება.

კვლევა ჩატარდა როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით. ინსტრუმენტებს კი წარმოადგენდა ფოკუს ჯგუფი, ჩაღრმავებული ინტერვიუ, დაკვირვება და კითხვარი. შედეგის მისაღწევად გამოყენებული იქნა ინტერვენციები, რომლებიც კვლევის პროცესში საჭიროებებიდან გამომდინარე დაიგეგმა.

შეიძლება ითქვას, რომ კვლევა მეტნაკლებად წარმატებით ჩატარდა. საკითხისადმი ინტერესი გამოიჩინეს, როგორც მასწავლებლებმა, ისე მშობლების ნაწილმა. გაუმჯობესდა შედეგები პირველ სემესტრთან შედარებით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მშობელთა ჩართულობა; მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, პრაქტიკის კვლევა.